



დამტკიცებულია მმართველი საბჭოს
2019 წლის 03 იანვრის №02
დადგენილებით

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

2019

დოკუმენტის შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	2
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.....	3
მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები.....	5
მუხლი 4. უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები	7
მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები	7
მუხლი 6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	10



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი ქმნის ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს;
2. დოკუმენტის მიზანია:
 - ა) შექმნას ევროპის უნივერსიტეტში ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავებას, პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.
 - ბ) ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე აქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.
3. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, ითვალისწინებს ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას (IQM-ის სახელმძღვანელო „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“), უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

მისიით დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

❖ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების, წესების და პროცედურების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის. ჩართულობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას.

❖ ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების შიდა სტანდარტების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს. ადამიანური რესურსების ნაწილში პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შერჩევის ვალიდურ და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას.

❖ საგანმათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესებს და წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას;



❖ ფინანსური და ბიუჯეტირების პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტის წარმატებული ფუნქციონერება და განვითარება, როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე პერსპექტივაში და ამავდროულად ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ფინანსური, წარმოებისა და შრომითი რესურსების ეფექტური მართვის მექანიზმის განვითარების გზით.

❖ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენებას, როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია), ასევე, საერთაშორისო დონეზე (საერთაშორისო ავტორიზაცია, აკრედიტაცია, უცხოელი ექსპერტის მოწვევა და სხვ.), რათა შეაფასოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, ასევე, დასახოს ახალი პერსპექტივები და უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ მთავრდება გარედან უკუკავშირის, ანგარიშის მიღების ან უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე შემდგომი პროცესებით. დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის ბოლო გარე შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებას მომდევნო გარე შეფასების უზრუნველყოფის პროცესისათვის მზადებაში.

❖ აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას. თანამშრომელთა შეფასების მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მხარი დაუჭიროს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, ეს იქნება ტრენინგის ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა.

❖ სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მუდმივ განვითარებას. მონიტორინგი ითვალისწინებს სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზს, პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას.

❖ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვ. შეფასება უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი მხარისთვის.

❖ შესთავაზოს სტუდენტებს მხარდამჭერი სერვისები და რესურსების ფართო სპექტრის შემუშავება, დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება. აღნიშნული ითვალისწინებს როგორც მატერიალურ რესურსებს (ბიბლიოთეკა, სასაწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა), ასევე, ადამიანურ მხარდაჭერას კონსულტანტებისა და სხვა მრჩეველთა სახით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ფარგლებში უზრუნველყოფს რესურსების შეფასებაში დაინტერესებული პირების ჩართვას, შეფასების შედეგებს იყენებს შემდომი გაუმჯობესებისთვის. უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაში ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების თანამშრომლების როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, უნივერსიტეტი აქცენტს აკეთებს მათ კვალიფიკაციაზე.

❖ კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის რესურსების შეფასებას და სამიზნე ნიშნულებს.

❖ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი კვლევითი ნაშრომების შექმნის ხელშეწყობის მიზნით კვლევის დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვას, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულ პირებში ნდობის ჩამოყალიბებას;

❖ უნივერსიტეტი ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებასა და დანერგვას;

❖ სწავლებისა და კვლევის ფარგლებში აკადემიურ თავისუფლებას;

❖ არ დაუშვას დისკრიმინაციას აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით. იზიარებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები

1. ხარისხის მართვა არის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობაა. რექტორი პასუხისმგებელია მოახდინოს ხარისხის სისტემის ორგანიზება უნივერსიტეტის დონეზე, ადმინისტრაციის თითოეულმა ერთეულმა კი უნდა უზრუნველყოს ის ერთეულის დონეზე.

2. საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხი გამომდინარეობს საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა კომპეტენციისგან, პასუხისმგებლობისგან და ეთიკური ქცევისგან.

3. უნივერსიტეტის რექტორი პასუხისმგებელია მენეჯმენტის ზედა რგოლში გადაანაწილოს ის პასუხისმგებლობები, რომლებიც განსაზღვრულია საუნივერსიტეტო რეგულაციებში. უნივერსიტეტის სტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული



ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

მიმართულებების უზრუნველყოფას პრორექტორებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ.

4. უნივერსიტეტის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ფუნქციონალს: სწავლება და კვლევა - ფაკულტეტები; ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით; ვიცე-რექტორი საგარეო ურთიერთობების მიმართულებით; ვიცე-რექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით; მმართველი საბჭო; რექტორის ოფისი და ხარისხის დეპარტამენტი. ძირითადი სამუშაო ერთეულია უნივერსიტეტის ფაკულტეტები, ხოლო დანარჩენი ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურები არის დამხმარე/მხარდამჭერი რგოლები. აღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურა მოითხოვს ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობას მართვის პროცესში, ფოკუსირება ხდება დასაქმებულის გადაწყვეტილების მიღებაში მაქსიმალურად ჩართვაზე, რომელიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უშუალოდ ექვემდებარება რექტორს და ვალდებულია:

ა) მოახდინოს ქმედებების კოორდინაცია და განვითარება, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის ხარისხის პროცედურებს;

ბ) მოამზადოს და წარადგინოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ხარისხის სისტემას და მოახდინოს პრეცედენტების განხორციელების ზედამხედველობა.

გ) მიაწოდოს ინფორმაცია და შედეგები უნივერსიტეტის მენეჯმენტს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული პირები ვალდებული არიან გამოიჩინონ ინიციატივები და იმსჯელონ საკითხებზე, რომელიც ემსახურება მათი ორგანიზაციული სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციონირების გაუმჯობესებას, ეფექტიანობასა და ეფექტურობას.

ორგანიზაციის სტრუქტურაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს მმართველი საბჭო. საბჭო იკრიბება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ითხოვს ერთობლივ განხილვას. საბჭოს გააჩნია როგორც სარეკომენდაციო ხასიათი, ასევე, განკარგულებითი. საბჭოს შემადგენლობაში სხვა ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის ჩართულობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას. მმართველი საბჭოს ამოცანაა დაეხმაროს რექტორს ყოველმხრივ გაანალიზებული გადაწყვეტილების მიღებაში. სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეთანხმებულ ურთიერთობას უზრუნველყოფს შინაგანაწესი/სამუშაო აღწერილობები და რექტორის ოპერაციული გადაწყვეტილებები. ორგანიზაციის სტრუქტურა წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის საშუალებას.

5. სტრუქტურული ერთეულები პასუხისმგებელი არიან საკუთარი ინსტრუქციებისა და პროცედურების მომზადებაზე და განახლებაზე.



ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

მუხლი 4. უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები

1. უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია - მისია რელევანტურია და შეესაბამება უნივერსიტეტის საქმიანობასა და სულისკვეთებას, სტრატეგიები რაციონალურია და მკაფიოდ ფორმულირებული.
2. უნივერსიტეტის რეგულაციები - მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის აღწერას და ყველა აქტივობის რეგულირების წესს, რაც ხელს უწყობს მართვის ეფექტურ განხორციელებას.
3. პროგრამების დიზაინი და კონტენტი - პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და განახლების რეგულაციები.
4. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი - სტუდენტების რაციონალური სასწავლო ბაზის შექმნა, შეფასების გამჭვირვალე და რელევანტური სისტემა, სტუდენტური კვლევა.
5. სტუდენტებისთვის ექსტრაკურსული აქტივობებში ჩართვა - სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სასერტიფიკატო პროგრამებში ჩართვა, სტაჟირება და ა. შ.
6. სტუდენტების მოსწრება, შეფასება და აკადემიური ხარისხის მინიჭება - გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რეიტინგული შეფასება.
7. უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა - რესურსების შექმნა, აკადემიური პერსონალის კვლევების დაფინანსების გამჭვირვალე სისტემა.
8. სტუდენტური სერვისები - უცხოელ სტუდენტთა მომსახურება, კარიერული დაგეგმვის ხელეწყობა კონსულტაციებისა და ვაკანსიების შეთავაზების გზით, სპორტული და კულტურული აქტივობების შეთავაზება.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები

1. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი უნივერსიტეტში ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. ამ სისტემის ძირითადი პრინციპები აღწერილია ხარისხის მართვის სახელმძღვანელოში და მის თანმდევ დოკუმენტებში, რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ.
2. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება



3. შემუშავებული რეგულაციები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, პროცესების ერთმანეთთან დაკავშირებას, რომელიც



ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

წარმოადგენს სისტემას და სამოქმედო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობასა და აკადემიურ სტანდარტებს უნივერსიტეტში ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.

4. დოკუმენტების ერთობლიობა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ვალდებულებას ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი გაუმჯობესების შესახებ. იგი ასახავს ძირითადი პროცესების პოლიტიკასა და პროცედურებს, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის მართვის კოლისტურ და ინტეგრირებულ ხედვას.

5. უნივერსიტეტის რეგულაციები ხელმისაწვდომია ხარისხზე პასუხისმგებელი ყველა დაინტერესებული პირისთვის და ფართოდ გამოიყენება საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ.

6. ქმედებების დაგეგმვა და მონიტორინგი:

უნივერსიტეტის მმართველი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი მიზნების, სტრატეგიების, სამოქმედო და ფინანსური გეგმის, ბიუჯეტის და მართვის პრინციპების შესახებ. უნივერსიტეტის რექტორი მართავს და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მოქმედებებს, დადგენილი პოლიტიკის და სტრატეგიის შესაბამისად. მართვის პრინციპები განსაზღვრავს უნივერსიტეტის მენეჯმენტის სისტემას, რომელიც დაკავშირებულია ყველა სტრუქტურულ ერთეულზე გადართვილებულ სამოქმედო გეგმასთან, მონიტორინგთან, ანგარიშგებასთან და განვითარებასთან, იმისათვის, რომ მოხდეს მოქმედების მიზნის დასახვა, გამოიყოს რესურსები ამ მიზნების მისაღწევად, მონიტორინგისთვის და ანგარიშისთვის ამ ოპერაციაზე. მოხდეს ამ ოპერაციების ხარისხის და პროდუქტიულობის შეფასება. ევროპის უნივერსიტეტის მართვის ძირითადი პრინციპები და ელემენტებია:

ა) სტრატეგიული საქმიანობა: სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ზოგადი პრინციპები;

ბ) უნივერსიტეტის გრძელვადიანი მიზნების დასახვა;

გ) სამწლიანი სამოქმედო გეგმა, მათ შორის წლიური მიზნების, ოპერაციების და ფინანსების დაგეგმვა.

დ) აღნიშნულ გეგმების განხორციელება, მონიტორინგი და ანგარიში.

ე) ქმედებათა შეფასება და განვითარება.

6.1 მოქმედებების დაგეგმვა

უნივერსიტეტის რექტორი და მმართველი საბჭო განსაზღვრავს უნივერსიტეტის ოპერაციების და ფინანსების, სტრატეგიის და მართვის პრინციპების ძირითად ამოცანებს. უნივერსიტეტის ყველა რგოლი, ასევე, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული პირები (დამსაქმებლები და სხვ.) სხვადასხვა ეტაპზე ჩართულია საუნივერსიტეტო პროცედურებში.

6.2 მოქმედებათა მონიტორინგი

უნივერსიტეტის ოპერაციებში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/რგოლების შედეგების მონიტორინგი განხორციელდება შესაბამისი ერთეულების/რგოლების მართვის პრინციპებში აღწერილი პროცედურების შესაბამისად.



ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

7. უნივერსიტეტის ხარისხის სისტემა ეფუძნება შიდა აქტებს, რეგულაციებს, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისი სტრუქტურების, ჩართული პირების პასუხისმგებლობებს უნივერსიტეტის ფარგლებში. შიდა მონიტორინგს და კონტოლს ექვემდებარება უნივერსიტეტის ყველა პროცესი, განსაკუთრებით ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სამსახურები. შიდა კონტროლი მიმართულია უნივერსიტეტის ყველა ოპერაციისკენ. უნივერსიტეტის რესურსების, კერძოდ, ფინანსური, ადამიანური რესურსების და კვლევისა და სწავლების პროდუქტიულობის განვითარება ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს. ჩართულ რგოლებს აქვთ ვალდებულება, მოახდინონ მათი ქმედებების, მიღწევების და ფინანსური მდგომარეობის განვითარების მუდმივი და რეგულარული მონიტორინგი. ამ საკითხზე ანგარიში მოამზადოს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს უნივერსიტეტის მართვის პრინციპების თანახმად. ანგარიშგება გამოიყენება, ასევე, თითოეული სამსახურის/რგოლის შეფასებისთვის. უნივერსიტეტის სამსახურები ახდენენ რეგულარულ მონიტორინგს იმისა, თუ როგორ ხორციელდება პროცესები დასახული მიზნის მისაღწევად და ჩართული რგოლები ამზადებენ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენენ მართვის გუნდს, რექტორს და მმართველ საბჭოს. განხორციელებულ ანგარიშგებაზე ხორციელდება უკუკავშირი.

8. შიდა კონტროლის ძირითადი ამოცანაა:

ა) საუნივერსიტეტო საქმიანობის და ფინანსური მართვის ეფექციანობის/სარგებლიანობის და ოპერაციების მართებულობის მონიტორინგი/კონტროლი, ისევე, როგორც მათ შესახებ სისწორე და ადეკვატურობა;


ბ) ოპერაციული და მონიტორინგის სისტემათა სანდოობის კონტროლი;

გ) ერთეულების მიერ განხორციელებული შიდა თვითმონიტორინგის ზედამხედველობა;

დ) დებულებების, განსაკუთრებით რეგულაციების და ინსტრუქციების შესრულების/დაცვის მონიტორინგი და კონტროლი, ისევე, როგორც ანგარიშგებაში მითითებული ინფორმაციის სანდოობის კონტროლი.

ე) ინიციატივების და წინადადებების წარდგენა მენეჯმენტისათვის ზემოთაღნიშნული ოპერაციების შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას ახორციელებს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA) ციკლის შესაბამისად.



10. მუდმივი გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია:

- ა) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი;
- ბ) ხარისხის პოლიტიკის, ამოცანების და მიზნების ცვლილებების აუცილებლობა ეტაპობრივად;
- გ) მიმდინარე შესრულება ანგარიშგება და გაუმჯობესების შესაძლებლობები;
- დ) პრობლემების იდენტიფიცირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ხარისხის გაუარესება.

მუხლი 6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. შიდა აუდიტი - უნივერსიტეტის რეგულაციებთან უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასება.
2. გარე აუდიტი - ავტორიზაცია, აკრედიტაცია (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); საერთაშორისო საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ინსტიტუციები; პროგრამის შეფასების მიზნით მოწვეული დარგის ექსპერტები.